+17

პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2021 წლის -------აგვისტო

ქ. წყალტუბო

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ 2020 წლის და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" ანგარიში 2020 წლის და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" ანგარიში 2020 წლის და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ 2020 წლის და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ზერაძე

შეთანხმებულია თ. ნიჟარაძე

6017

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი)
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
„საბავშვო ბაღების გაერთიანება“

ს/კოდი 221281636 5400ქ. წყალტუბო ვაჟა-ფშაველას ქ. N1 T (0436)22 00 72

N 31-1/43
10/08/2021

43-31-1-2-202108101522

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

წარმოგიდგენთ ანგარიშსს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების'' მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი : 5 ფურცლად.

პატივისცემით,

გიორგი იობიძე

მმართველი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

6018

**ანგარიში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“**

**მიერ 2020 წელსა და 2021 წლის 1-2 კვარტალში**

**გაწეული მუშაობის შესახებ.**

სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს. ამ დროს ყალიბდება ყველა ის ძირითადი უნარები,რომელთაც შემდგომში ბავშვი გამოიყენებს როგორც სკოლაში,ასევე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს N65 განკარგულებით 2007 წლის 24 ივლისს დაფუძნდა ა(ა)იპ " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება". 2015 წლის 22 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის N 31 267 ბრძანების საფუძველზე მოხდა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების რეორგანიზაცია. შევიდა რიგი ცვლილებები და ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ა(ა)ი.პ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებად". 2007 წელს ფუნქციონირებდა 4 საბავშვო ბაღი, ამჟამად ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი: ქალაქის N1, N2, N3, N4, აგრეთვე გვიშტიბის, მაღლაკის, ფარცხანაყანევის, კოპიტნარის დასახლების, მესხეთის, მუხიანის, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის, საყულიის, ახალი საყულიის, გუმბრის, ოფურჩხეთის, რიონის, ცხუნკურის, ქვიტირის, თერნალის, ხომულის საბავშვო ბაღები 1700 აღსაზრდელით.

ამ საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების გახსნა მოხდა ეტაპობრივად, აღზრდა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ხდება 61 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ", რის საფუძველზეც საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმა დაიწყო. კანონის მიზანია, საქართველოში ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი მომსახურეობა იყოს ხელმისაწვდომი და თანასწორი, ხარისხი გაუმჯობესებული.

რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულომ და ა(ა)ი.პ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ", სისტემის სწრაფი განვითარებისთვის, კანონის შესაბამისი სტანდარტების აღსრულება იმთავითვე დაიწყო.

კანონის შესაბამისად ხდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პრინციპების დაცვა: ბავშვთა უფასო აღზრდა, განათლება და კვება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება ნებაყოფლობითია და ხელმისაწვდომია შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისათვის. დაინერგა სასკოლო მზაობის პროგრამა.

ეტაპობრივად ხდება სკოლამდელი აღზრდის სისტემასთან დაკავშირებული, დამტკიცებული ეროვნული სტანდარტების აღსრულება, როგორიცაა: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი, ინფრასტრუქტურის სტანდარტი, კვების სტანდარტი, წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის სტანდარტი, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.

6019

ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით ზედმიწევნით დაცულია ყველა შესაბამისი წესი: სახანძრო უსაფრთხოების, კვების, წყლის, სანიტარიის, ჰიგიენის და ინფრასტრუქტურის კუთხით.

ახალი კორონა ვირუსით (SARS – COV 2) გამოწვეულმა ინფექციამ (COVID 19) მთლიანად შეცვალა ცხოვრების წესი როგორც მსოფლიოში,ასევე ჩვენს ქვეყანაშიც .

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით გამოსცა რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის. ამ რეკომენდაციების შერულების მიზნით გაერთიანების მიერ შემუშავდა პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა. ყველა საბავშვო ბაღში მოეწყო საიზოლაციო ოთახი და აღიჭურვა ხელის ჰიგიენური საშუალებებით. შეძენილი იქნა პირბადეები, დეზობარიერების სითხე, დისტანციური თერმომეტრები ,სადეზინფექციო ხსნარები, დისპენსერი ხელის სითხისთვის და დამატებით დეზობარიერები.

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში'' გაერთიანების ყველა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი ახალი კორონავირუსის (COVID 19) პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ყველა საბავშვო ბაღში მოეწყო თვალსაჩინოების კუთხეები,სადაც განთავსდა ინსტრუქციები ხელის დაბანვის,ჭურჭლის რეცხვის, პირბადის სწორად ტარების წესებთან დაკავშირებით. პანდემიის გამო, წლის განმავლობაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა შეფერხებით. ამ მიზეზით ვერ ჩატარდა სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით გათვალისწინებული გამოსაშვები ღონისძიებები და პრეზენტაციები. აღსანიშნავია,რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი იქნა პრაქტიკული გზამკვლევი(,,ბაღები პანდემიის დროს'', ,,ამბავი ნიკოზე და ვირუსზე'' და ,,სტრესის მოხსნის სავარჯიშოები''), რომელიც გააადვილებს ჯანდაცვის რეგულაციების მიხედვით სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვას.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დროებით შეწყვეტის გამო, წლის განმავლობაში გაერთიანების აღსაზრდელების მშობლებზე მოხდა საკვები პროდუქტების გადაცემა ( გაცემა მოხდა 3 ეტეპად).

I ეტაპი - პროდუქტი გაიცა 1681 აღსაზრდელზე, ერთეული პაკეტის ღირებულება 24,14 ლარი და სულ

40 579,34 ლარი.

II ეტაპი - პროდუქტი გაიცა 1697 აღსაზრდელზე, ერთეული პაკეტის ღირებულება 28,55 ლარი და სულ 48 449,35 ლარი

III ეტაპი - პროდუქტი გაიცა 1672 აღსაზრდელზე .ერთეული პაკეტის ღირებულება 39,95 ლარი და სულ 66 796,40 ლარი.

გაერთიანების ადმინისტრაცია სამსახურეობრივ საქამიანობას ეწეოდა ყოველდღიურ რეჟიმში.ხოლო საბავშვო ბაღების თანამშრომლები იმყოფებოდნენ დისტანციურ მუშაობის რეჟიმში.

2020 წლის განმავლობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგების მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები :

- მოეწყო სოფელ თერნალის N 23 საბავშვო ბაღის გარშემო სადრენაჟე სისტემა,რომლის ღირებულებამაც შეადგინა 23 496,80 ლარი.

- გაერთიანებაში შემავალ 23-ვე საბავშვო ბაღში მოხდა ელექტრო ქსელის სიმძლავრის გაზრდა,რომლის ღირებულებამაც შეადგინა 31 900 ლარი.

- მოეწყო სოფელ პატრიკეთის N 12 საბავშვო ბაღის სახურავი, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 21 627,59 ლარი .

- ასევე საბავშვო ბაღებისათვის ზამთრისთვის შეძენილი იქნა საშეშე მერქანი(შეშა) 15 000 ლარის.

- სანტექნიკის მასალები 3000 ლარის.

- პირბადეები : 1540 ლარის.

- ხელის დისპენსერი: 6760 ლარის.

- ხელის დასამუშავებელი ჰიგიენური სითხეები: 10125 ლარის.

- დეზობარიერის სითხეები : 960 ლარის.

- დეზობარიერები: 2032 ლარის.

- ერთჯერდი ხალათები-ხელთათმანები: 4640 ლარი.

- საკანცელარიო მასალები: (რეკომენდაციით გათვალისწინებული აღსაზრდელებისათვის ინდივიდუალური ყუთების შექმნა): ფანქრების,მაკრატლების და სხვა საშუალებებისათვის,საბექდი ფურცლებისათვის და ა.შ. : 10171 ლარი.

- ავეჯის აქსესუარების : 3065 ლარის.

- ელექტრო კაბელები: 2495 ლარის.

- საკეტები 800 ლარის.

- პირადი ჰიგიენური საშუალებები : 2733 ლარის.

- ელექტრო ტუმბოები : 2500 ლარის.

- ელექტრო ნათურები : 1700 ლარის.

6021

ლოჯისტიკის სამსახურის მიერ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შეჩერების დროს მოწესრიგდა საბავშვო ბაღებში დაზიანებული სანტექნიკის მოწყობილობები, ელექტრო გაყვანილობები,შეიცვალა წყლის ელექტრო ტუმბოები და ა.შ.

ადმინისტარციული სამსახურის კუთხით მომზადდა ყველა ის აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც აუცილებელი იყო გაერთიანების ფუნციონირებისათვის წლის განმავლობაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტები, რის საფუძველზეც გაერთიანებას გადმოეცა ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან,ამ ამონაწერის საფუძველზე გაერთიანებას მიეცა საქმიანობის გაგრძელების უფლება.

სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივს გაეგზავნა მონაცემები წლის განმავლობაში დაწესებულების არქივის პასპორტში ცვლილებებთან დაკავშირებით.

საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების კუთხით დროულად ხდებოდა შემოსული და გასული კორესპონდეციების მიღება,გაგზავნა და გატარება შესაბამის წიგნებში. მომზადდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია გაერთიანების თანამშრომლებზე შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში სასწავლო-სსაღმზრდელო პროცესი განახლდა 2021 წლის 1 მარტიდან. ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით დამტკიცებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

2021 წლის I-II კვარტალში სასწავლო-საამზრდელო პროცესი მიმდინარეობდა გაერთიანების მიერ დამტკიცებული გეგმით,ასევე ვხემძღვანელობდით საქართველოს განათლების,მეცნიერების ,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წელს გამოცემული პრაქტიკული გზამკვლევით : ,,ბაღები პანდემიის დროს" და მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოები ,, ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში და რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

ყველა საბავშვო ბაღის ეზოებში ჩატარდა გამოსაშვები პრეზენტაციები,რეკომენდაციების სრული დაცვით.

ივნისის თვეში დაიწყო მასწავლებელთ პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ,,my microft '' სერვისების გამოყენება დისტანციურ სწავლებაში, რომელმაც საშუალება მოგვცა გვესწავლა ,,teame'' პლატფორმაზე მუშაობა.

2021 წლის I-II კვარტალში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიეგების მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუსაოები:

ახალი კორონა ვირუსის პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით შეძენილ იქნა

- პირბადეები 3090 ლარის
- ერთჯერადი ხელთათმანები და ხალათები - 4716 ლარის
- ყველა საბავშვო ბაღში გაკეთდა სამელი წყლის ანალიზები - 1800 ლარის.
- შეძენილი იქნა წყლის ფილტრები - 2500 ლარის.

f.

- ჩატარდა სოფელ რიონის N 19 საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვითი სამუშაოები,რომლის ღირებულებამაც შეადგინა- 18 834 ლარი.
- მომზადდა საბავშვო ბაღების გაზიფიცირების პროექტი - 3800 ლარი.
- სოფელ ოფურჩხეთის N 18 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციისთვის მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი 173 340 ლარზე. გაერთიანება აგრძელებს ყოველდღიურ საქმიანობას რათა მომზადებული შევხვდეთ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლებას.

ა(ა)ი.პ. „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების"

მმართველი: გიორგი იობიძე

17

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ 2020 წლის და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" ანგარიში 2020 წლის და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" ანგარიში 2020 წლის და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ 2020 წლის და 2021 წლის I– II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

6008

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

# დ ა ს კ ვ ნ ა

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ 2021 წლის 27 აგვისტოს კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
თენგიზ ნიჟარაძე

6004

წერილის ნომერი:**49-49212251**
თარიღი: **13/08/2021**

**ადრესატი:**

თენგიზ ნიჟარაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ თენგიზ ნიჟარაძეს

ბატონო თენგიზ,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს -**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ 2020 წლის და 2021 წლის I-** II **კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ „** კომისიის სხდომაზე განსახილველად.

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

6010

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „საბავშვო ბაღების გაერთიანება“

ს/კოდი 221281636 5400ქ. წყალტუბო ვაჟა-ფშაველას ქ. N1 T (0436)22 00 72


N 31-1/43
10/08/2021

43-31-1-2-202108101522

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

წარმოგიდგენთ ანგარიშსს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების'' მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი : 5 ფურცლად.

პატივისცემით,

გიორგი იობიძე

მმართველი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

60-11

**ანგარიში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“**

**მიერ 2020 წელსა და 2021 წლის 1-2 კვარტალში**

**გაწეული მუშაობის შესახებ.**

სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს. ამ დროს ყალიბდება ყველა ის ძირითადი უნარები,რომელთაც შემდგომში ბავშვი გამოიყენებს როგორც სკოლაში,ასევე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს N65 განკარგულებით 2007 წლის 24 ივლისს დაფუძნდა ა(ა)იპ " წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება". 2015 წლის 22 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის N 31 267 ბრძანების საფუძველზე მოხდა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების რეორგანიზაცია. შევიდა რიგი ცვლილებები და ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ა(ა)ი.პ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებად". 2007 წელს ფუნქციონირებდა 4 საბავშვო ბაღი, ამჟამად ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი: ქალაქის N1, N2, N3, N4, აგრეთვე გვიშტიბის, მაღლაკის, ფარცხანაყანევის, კოპიტნარის დასახლების, მესხეთის, მუხიანის, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის, საყულიის, ახალი საყულიის, გუმბრის, ოფურჩხეთის, რიონის, ცხუნკურის, ქვიტირის, თერნალის, ხომულის საბავშვო ბაღები 1700 აღსაზრდელით.

ამ საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების გახსნა მოხდა ეტაპობრივად, აღზრდა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ხდება 61 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ", რის საფუძველზეც საქართველოში ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის რეფორმა დაიწყო. კანონის მიზანია, საქართველოში ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი მომსახურეობა იყოს ხელმისაწვდომი და თანასწორი, ხარისხი გაუმჯობესებული.

რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულომ და ა(ა)ი.პ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ", სისტემის სწრაფი განვითარებისთვის, კანონის შესაბამისი სტანდარტების აღსრულება იმთავითვე დაიწყო.

კანონის შესაბამისად ხდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პრინციპების დაცვა: ბავშვთა უფასო აღზრდა, განათლება და კვება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება ნებაყოფლობითია და ხელმისაწვდომია შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისათვის. დაინერგა სასკოლო მზაობის პროგრამა.

ეტაპობრივად ხდება სკოლამდელი აღზრდის სისტემასთან დაკავშირებული, დამტკიცებული ეროვნული სტანდარტების აღსრულება, როგორიცაა: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი, ინფრასტრუქტურის სტანდარტი, კვების სტანდარტი, წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის სტანდარტი, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.

60/12

ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით ზედმიწევნით დაცულია ყველა შესაბამისი წესი: სახანძრო უსაფრთხოების, კვების, წყლის, სანიტარიის, ჰიგიენის და ინფრასტრუქტურის კუთხით.

ახალი კორონა ვირუსით (SARS – COV 2) გამოწვეულმა ინფექციამ (COVID 19) მთლიანად შეცვალა ცხოვრების წესი როგორც მსოფლიოში,ასევე ჩვენს ქვეყანაშიც .

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით გამოსცა რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის. ამ რეკომენდაციების შერულების მიზნით გაერთიანების მიერ შემუშავდა პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა. ყველა საბავშვო ბაღში მოეწყო საიზოლაციო ოთახი და აღიჭურვა ხელის ჰიგიენური საშუალებებით. შეძენილი იქნა პირბადეები, დეზობარიერების სითხე, დისტანციური თერმომეტრები ,სადეზინფექციო ხსნარები, დისპენსერი ხელის სითხისთვის და დამატებით დეზობარიერები.

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში'' გაერთიანების ყველა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი ახალი კორონავირუსის (COVID 19) პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ყველა საბავშვო ბაღში მოეწყო თვალსაჩინოების კუთხეები,სადაც განთავსდა ინსტრუქციები ხელის დაბანვის,ჭურჭლის რეცხვის, პირბადის სწორად ტარების წესებთან დაკავშირებით. პანდემიის გამო, წლის განმავლობაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობდა შეფერხებით. ამ მიზეზით ვერ ჩატარდა სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით გათვალისწინებული გამოსაშვები ღონისძიებები და პრეზენტაციები. აღსანიშნავია,რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი იქნა პრაქტიკული გზამკვლევი(,,ბაღები პანდემიის დროს'', ,,ამბავი ნიკოზე და ვირუსზე'' და ,,სტრესის მოხსნის სავარჯიშოები''), რომელიც გააადვილებს ჯანდაცვის რეგულაციების მიხედვით სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვას.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დროებით შეწყვეტის გამო, წლის განმავლობაში გაერთიანების აღსაზრდელების მშობლებზე მოხდა საკვები პროდუქტების გადაცემა ( გაცემა მოხდა 3 ეტაპად).

I ეტაპი - პროდუქტი გაიცა 1681 აღსაზრდელზე, ერთეული პაკეტის ღირებულება 24,14 ლარი და სულ

40 579,34 ლარი.

II ეტაპი - პროდუქტი გაიცა 1697 აღსაზრდელზე, ერთეული პაკეტის ღირებულება 28,55 ლარი და სულ 48 449,35 ლარი

III ეტაპი - პროდუქტი გაიცა 1672 აღსაზრდელზე .ერთეული პაკეტის ღირებულება 39,95 ლარი და სულ 66 796,40 ლარი.

გაერთიანების ადმინისტრაცია სამსახურეობრივ საქმიანობას ეწეოდა ყოველდღიურ რეჟიმში.ხოლო საბავშვო ბაღების თანამშრომლები იმყოფებოდნენ დისტანციურ მუშაობის რეჟიმში.

2020 წლის განმავლობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგების მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები :

- მოეწყო სოფელ თერნალის N 23 საბავშვო ბაღის გარშემო სადრენაჟე სისტემა,რომლის ღირებულებამაც შეადგინა 23 496,80 ლარი.
- გაერთიანებაში შემავალ 23-ვე საბავშვო ბაღში მოხდა ელექტრო ქსელის სიმძლავრის გაზრდა,რომლის ღირებულებამაც შეადგინა 31 900 ლარი.
- მოეწყო სოფელ პატრიკეთის N 12 საბავშვო ბაღის სახურავი, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 21 627,59 ლარი .
- ასევე საბავშვო ბაღებისათვის ზამთრისთვის შეძენილი იქნა საშეშე მერქანი(შეშა) 15 000 ლარის.
- სანტექნიკის მასალები 3000 ლარის.
- პირბადეები : 1540 ლარის.
- ხელის დისპენსერი: 6760 ლარის.
- ხელის დასამუშავებელი ჰიგიენური სითხეები: 10125 ლარის.
- დეზობარიერის სითხეები : 960 ლარის.
- დეზობარიერები: 2032 ლარის.
- ერთჯერდი ხალათები-ხელთათმანები: 4640 ლარი.
- საკანცელარიო მასალები: (რეკომენდაციით გათვალისწინებული აღსაზრდელებისათვის ინდივიდუალური ყუთების შექმნა): ფანქრების,მაკრატლების და სხვა საშუალებებისათვის,საბეჭდი ფურცლებისათვის და ა.შ. : 10171 ლარი.
- ავეჯის აქსესუარების : 3065 ლარის.
- ელექტრო კაბელები: 2495 ლარის.
- საკეტები 800 ლარის.
- პირადი ჰიგიენური საშუალებები : 2733 ლარის.
- ელექტრო ტუმბოები : 2500 ლარის.
- ელექტრო ნათურები : 1700 ლარის.

ლოჯისტიკის სამსახურის მიერ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შეჩერების დროს მოწესრიგდა საბავშვო ბაღებში დაზიანებული სანტექნიკის მოწყობილობები, ელექტრო გაყვანილობები,შეიცვალა წყლის ელექტრო ტუმბოები და ა.შ.

ადმინისტარციული სამსახურის კუთხით მომზადდა ყველა ის აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც აუცილებელი იყო გაერთიანების ფუნციონირებისათვის წლის განმავლობაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტები, რის საფუძველზეც გაერთიანებას გადმოეცა ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან,ამ ამონაწერის საფუძველზე გაერთიანებას მიეცა საქმიანობის გაგრძელების უფლება.

სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივს გაეგზავნა მონაცემები წლის განმავლობაში დაწესებულების არქივის პასპორტში ცვლილებებთან დაკავშირებით.

საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების კუთხით დროულად ხდებოდა შემოსული და გასული კორესპონდეციების მიღება,გაგზავნა და გატარება შესაბამის წიგნებში. მომზადდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია გაერთიანების თანამშრომლებზე შრომითი ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში სასწავლო-სსაღმზრდელო პროცესი განახლდა 2021 წლის 1 მარტიდან. ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის გავრცელებასთან დაკავშირებით დამტკიცებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

2021 წლის I-II კვარტალში სასწავლო-საამზრდელო პროცესი მიმდინარეობდა გაერთიანების მიერ დამტკიცებული გეგმით,ასევე ვხემძღვანელობდით საქართველოს განათლების,მეცნიერების ,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წელს გამოცემული პრაქტიკული გზამკვლევით : ,,ბაღები პანდემიის დროს" და მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოები ,, ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში და რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

ყველა საბავშვო ბაღის ეზოებში ჩატარდა გამოსაშვები პრეზენტაციები,რეკომენდაციების სრული დაცვით.

ივნისის თვეში დაიწყო მასწავლებელთ პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ,,my microft '' სერვისების გამოყენება დისტანციურ სწავლებაში, რომელმაც საშუალება მოგვცა გვესწავლა ,,teame'' პლატფორმაზე მუშაობა.

2021 წლის I-II კვარტალში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიეგბის მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუსაოები:

ახალი კორონა ვირუსის პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით შეძენილ იქნა

- პირბადეები 3090 ლარის
- ერთჯერადი ხელთათმანები და ხალათები - 4716 ლარის
- ყველა საბავშვო ბაღში გაკეთდა სამელი წყლის ანალიზები - 1800 ლარის.
- შეძენილი იქნა წყლის ფილტრები - 2500 ლარის.

60ხ

- ჩატარდა სოფელ რიონის N 19 საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვითი სამუშაოები,რომლის ღირებულებამაც შეადგინა- 18 834 ლარი.
- მომზადდა საბავშვო ბაღების გაზიფიცირების პროექტი - 3800 ლარი.
- სოფელ ოფურჩხეთის N 18 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციისთვის მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი 173 340 ლარზე.

გაერთიანება აგრძელებს ყოველდღიურ საქმიანობას რათა მომზადებული შევხვდეთ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლებას.

ა(ა)ი.პ. „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების"

მმართველი: გიორგი იობიძე